ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3850151

ნომერი: AR1577449

თარიღი : 14.02.2018

გაცემის თარიღი : 05.03.2018

გაცნობის თარიღი : 05.03.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , N78 ; ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ თათეშვილი პ/ნ 01024007991
- საქართველო, ქალაქი თბილისი, სიმონ კანდელაკის ქუჩა, N 65, ბინა 18

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 14 თებერვლის AR1577449 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ტექნიკური ხარვეზის გასწორებას 2017 წლის 9 იანვრის №3035374 ბრძანებაში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 9 იანვრის №3035374 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, გურამიშვილი გამზირი, N78, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.12.01.004.024), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 09.01.2017 წ-დან 09.04.2017 წ-ის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 2017 წლის 9 იანვრის №3035374 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების ჩანაცვლება და ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში შესაბამისი ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
სამსახურის მიერ განმცხადებლის მოთხოვნისა და საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ 0.00 ნიშნულზე სათავსები გაერთიანებულია, შეცვლილია ბინების ნუმერაცია და ასევე წარმოდგენილ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში 668.49კვ.მ-ით მეტი ფართობია მითითებული.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურის 2017 წლის 9 იანვრის №3035374 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის გეგმა არის სამშენებლო დოკუმენტაციის ნაწილი, რომლის ცვლილებაც და შესაბამისი მონაცემების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ასახვა ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საფუძველს არ წარმოადგენს, აღნიშნული საჭიროებს სამშენებლო დოკუმენტაციის ცვლილებას (კორექტირებას).
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გაასწოროს ტექნიკური ხარვეზი 2017 წლის 9 იანვრის №3035374 ბრძანებაში.
აქვე განგიმარტავთ, რომ წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის